სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 416
(ოქმი № 379)

თბილისი 2018 წლის 7 მაისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

35^9(1) მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ცვლილება შევიდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში და შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტი თანდართული სახით.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტი (16 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ირაკლი პაპავა

ქეთევან მსხილაძე

ნინია-ნინო კაკაბაძე

გიორგი ნიჟარაძე

ზაზა შათირიშვილი

გიორგი იაკობაშვილი

ბესიკ ლილუაშვილი

იზაბელა ოსიპოვა

აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N _____
__/__/____

000000-00-0-000000000000

ქ. ბათუმი 19.04.2018წ

N01-07/57

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

სამეურვეო საბჭოს

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ, დასამტკიცებლად სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს.

რუსუდან იმედაიშვილი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/08

(ოქმი N 5)

ქ. ბათუმი 16 აპრილი 2018 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო'' დირექტორის, 2018 წლის 03 აპრილის N02-19/809 წერილის საფუძველზე:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2018 წლის ბიუჯეტი შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით (თან ერთვის) დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

3. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

დანართი: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2018 წლის ბიუჯეტი.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი

დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი

ნათია კაპანიძე

16 აპრილი 2018 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

რუსუდან იმედაიშვილი

16 აპრილი 2018 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი

ხარჯების დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
მრჩეველთა საბჭო	236 370	5 100	241 470
ადმინისტრაცია	2 600 430	19 650	2 620 080
ახალი ამბები	1 037 360	5 960	1 043 320
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	2 441 630	102 350	2 543 980
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	298 000	0	298 000
ტექნიკური უზრუნველყოფა	1 214 710	80 700	1 295 410
სხვა გადასახდელები	50 500	25 000	75 500
სულ ჯამი	**7 879 000**	**238 760**	**8 117 760**

დამკვეთი/დამფინანსებელი:	**ა(ა)იპ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი**
ბიუჯეტის მუხლი:	**"ახალი ამბები"**
პროექტი:	**"ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის" ფარგლებში გარემოს დაცვის თემაზე ანალიტიკური სიუჟეტების მომზადება**
გადაცემა:	**"ახალი ამბები" -ს მთავარი გამოშვება**
გადაცემის რაოდენობა:	4
ქრონომეტრაჟი:	**2-5 წუთი**
პერიოდულობა:	**კვირაში ერთხელ**

ხარჯთაღრიცხვა

N	ხარჯების დასახელება	დამკვეთი/ დამფინანსებელი	შემსრულებელი/ მაუწყებელი	შენიშვნა
1	**შრომის ანაზღაურება**	960,00	0,00	
1.1.	*რეპორტიორი (4)*	*445,00*	*0,00*	
1.2.	*ოპერატორი (4)*	*445,00*	*0,00*	
1.3.	*პასუხისმგებელი პირი (1)*	*70,00*	*0,00*	
1.4.				
2	**მივლინება**	0,00	0,00	
2.1.	*ქვეყნის შიგნით*	*0,00*	*0,00*	
2.2.	*ქვეყნის გარეთ*	*0,00*	*0,00*	
3	**შესყიდვები**	0,00	24,26	
3.1.	*საწვავი*	*0,00*	*24,26*	*11,55 ლიტრი*
3.2.		*0,00*	*0,00*	
4	**სხვა ხარჯები**	0,00	159,22	
4.1.	*გადასახადი (დღგ)*	*0,00*	*0,00*	*განთავისუფლებულია*
4.2.	*არაპირდაპირი (ზედნადები) ხარჯები*	*0,00*	*76,80*	
4.3.	*ამორტიზაცია (ცვეთა)*	*0,00*	*82,42*	*კომპიუტერი, ვიდეოკამერა, ავტომობილი*
	ჯამი	960,00	183,47	
		83,95%	*16,05%*	

დამკვეთი/დამფინანსებელი:	**ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი**
ბიუჯეტის მუხლი:	**"მედიაწარმოება და პროდიუსინგი"**
პროექტი:	**"მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში"**
გადასცემა:	**"ჰეშთეგი"**
გადასცემის რაოდენობა:	10
ქრონომეტრაჟი:	**5-10 წუთი**
პერიოდულობა:	**თვეში ერთხელ**

ხარჯთაღრიცხვა

N	ხარჯების დასახელება	დამკვეთი/ დამფინანსებელი	შემსრულებელი/ მაუწყებელი	შენიშვნა
1	**შრომის ანაზღაურება**	7 200,00	0,00	
1.1.	*რეპორტიორი (1)*	*1 250,00*	*0,00*	
1.2.	*ოპერატორი (1)*	*1 250,00*	*0,00*	
1.3.	*გრაფიკოს-მემონტაჟე (1)*	*1 250,00*	*0,00*	
1.4.	*პასუხისმგებელი პირი (1)*	*3 450,00*	*0,00*	
2	**მივლინება**	0,00	0,00	
2.1.	*ქვეყნის შიგნით*	*0,00*	*0,00*	
2.2.	*ქვეყნის გარეთ*	*0,00*	*0,00*	
3	**შესყიდვები**	0,00	34,65	
3.1.	*საწვავი*	*0,00*	*34,65*	*16,5 ლიტრი*
3.2.		*0,00*	*0,00*	
4	**სხვა ხარჯები**	0,00	1 780,99	
4.1.	*გადასახადი (დღგ)*	*0,00*	*1 098,31*	
4.2.	*არაპირდაპირი (ზედნადები) ხარჯები*	*0,00*	*576,00*	
4.3.	*ამორტიზაცია (ცვეთა)*	*0,00*	*106,69*	*კომპიუტერი, ვიდეოკამერა, ავტომობილი*
ჯამი		7 200,00	1 815,64	
		79,86%	*20,14%*	

აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

02-19/809

03 აპრილი 2018 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
მრჩეველთა საბჭოს

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ 2018 წლის 23 მარტს N02-19/714 წერილით გამოგეგზავნათ ბიუჯეტის ცვლილების პროექტი. ვინაიდან მისი განხილვა დღემდე არ მომხდარა და ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში შემოსულია ახალი პროექტის დაფინანსების შესახებ დოკუმენტაცია, შესაბამისად წარმოგიდგენთ მაუწყებლის 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ ახალ პროექტს.

2018 წლის 07 თებერვალს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ N01-01/01 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და 2018 წლის 20 თებერვალს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს N370 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

- 2018 წლის 18 იანვარს საპროექტო განაცხადით, ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილემ სარედაქციო მიმართულებით მაია მერკვილაძემ, მიიღო მონაწილეობა ა(ა)იპ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გაიმარჯვა. პროექტი ეხებოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის ფარგლებში ახალი ამბების მთავარ გამოშვებებში გარემოს დაცვის თემაზე ანალიტიკური სიუჟეტების მომზადებას და შესაბამის დაფინანსებას.

ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ერთი თვის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში მომზადდება 4 ანალიტიკური სიუჟეტი გარემოს დაცვის თემაზე, კერძოდ:

1. წყლის რესურსების მართვა;
2. ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
3. ნარჩენების მართვა;
4. საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი.

თითოეული მასალის მთავარი ფოკუსი ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესის ასახვა და ამ პროცესში არსებული გამოწვევების ანალიზი იქნება. ასევე, ხაზგასმული იქნება თითოეული რგოლის პასუხისმგებლობა - როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე მოქალაქეების. თითოეულ მასალას ექნება როგორც ანალიტიკური, ასევე საინფორმაციო ფუნქცია. სატელევიზიო სიუჟეტები მომზადდება ქართულ ენაზე, კვირაში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში და განთავსდება ახალი ამბების მთავარ გამოშვებაში, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ვებგვერდზე.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 960.00 (ცხრაასსამოცი) ლარს (იხილეთ დანართი N1).

შემსრულებელი:
ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის
უფროსი რაულ ბერიძე

- ა(ა)იპ "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-სთან ფორმდება ხელშეკრულება გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო"-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში" ფარგლებში.

ინფორმაცია პროექტის შესახებ:

- **გადაცემა:** ჰეშთეგი
- **ფორმატი:** თემის შესაბამისად, ცალკე ან ერთობლივად შესაძლებელია მომზადდეს:
  ა) ინტერვიუ დარგის ექსპერტთან;
  ბ) ანალიტიკური სიუჟეტი;
  გ) გრაფიკული მასალა;
  დ) ქუჩის გამოკითხვა;
  ე) ინტერაქტივი ლაივ რეჟიმში;
- **გადაცემების რაოდენობა:** 10 გადაცემა
- **პერიოდულობა:** თვეში ერთხელ

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **7 200** (შვიდიათასორასი) ლარს (იხილეთ დანართი N2).

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი და თანდართული განმარტებითი ბარათის შესაბამისად განახორციელოთ მაუწყებლის 2018 წლის ბიუჯეტში არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში შესაბამისი ცვლილება (იხილეთ დანართი N3).

დანართი 8 ფურცელი

პატივისცემით,

ნათია კაპანაძე
დირექტორი

დანართი N2

ხელშეკრულება
[მომსახურების შესახებ]

ქ. ბათუმი **___/___/2018წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი [სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20/11/2001ს/კ: 245530000], წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის ასლან ჭანიძის სახით, შემდგომში"დამკვეთი"და მეორე მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, შემდგომში "შემსრულებელი" [სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25.12.2013ს/კ: 245675880] ხელშეკრულებას დებენ მასზედ, რომ:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი მომსახურებას უწევს 01 მარტი, 2018 წლიდან,ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება.

1.2. **ხელშეკრულება ფორმდება „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო"-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი" და „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".**

2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1 დროულად, სრულად და ხარისხიანად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2.1.2. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული ყველა გადაცემა გააშუქოს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში და გაშუქებისას მიეთითოს დამკვეთის, ასევე დონორის ლოგოები და ინფორმაცია პროექტის შესახებ.

2.1.3. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოს ზოგადი ანონსირება,გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ კი გაავრცელოს ვებგვერდზე www.ajaratv.ge; ასევე, შესაბამისი ვიდეომასალა განათავსოს გადაცემის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

2.1.4. **შემსრულებელი ვალდებულია - ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სატელევიზიო „კონტენტი" პასუხობდეს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში" მიზანს. პროექტის მიზანია მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და იმ სამომავლო/მიმდინარე ცვლილებების შესახებ, რაც აისახება კონკრეტული მოქალაქის ყოფა-ცხოვრებაზე.**

2.1.5.დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულებების შესახებ.

2.1.6. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გაწეულ მომსახურებაზე მოუმზადოს მიღება-ჩაბარების აქტები და ანგარიშ-ფაქტურები. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, დადასტურებული მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2.1.7. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ან/და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები და აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი.

2.2 დამკვეთი ვალდებულია:

2.2.1 დამკვეთი ვალდებულია დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ის ინფორმაცია და მასალა, რაც შემსრულებელს სჭირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების უზრუნველსაყოფად. შეთანხმება განხორციელდება დამკვეთის ელ.ფოსტიდან: Batumi_ijh@yahoo.comშემსრულებლის შემდეგ ელ.ფოსტაზე: info@ajaratv.ge; kapanadze@ajaratv.ge

2.2.2 არ შეუკვეთოს ისეთი მომსახურება, რომლის წარმოება და რეალიზაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით;

2.2.3. ვინაიდან "პროექტის" დაფინანსება დამოკიდებულია დონორებთან დადებული ხელშეკრულებების პირობებსა და ვადებზე, დამკვეთიპ ასუხს არ აგებს დონორის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტილი ხელშეკრულების შედეგად ან დონორის მიერ ფულის დაგვიანებით გადმორიცხვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებზე;

3. დაკვეთის ტექნიკური პარამეტრები და პერიოდულობა

3.1. **ფორმატი:** თემის შესაბამისად, ცალკე ან ერთობლივად შესაძლებელია მომზადდეს:

ა) ინტერვიუ დარგის ექსპერტთან;

ბ) ანალიტიკური სიუჟეტი;

გ) გრაფიკული მასალა;

დ) ქუჩის გამოკითხვა;

ე) ინტერაქტივი ლაივ რეჟიმში;

3.2. **გადაცემების რაოდენობა:**10 გადაცემა, თვეში ერთხელ

3.3. **გადაცემების განთავსების პერიოდი:** მარტი-დეკემბერი, 2018

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და დასრულდება აღნიშნული მომსახურების გაწევის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს **30.12.2018 - სა.**

5. შეკვეთის ღირებულება

5.1 წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების მიხედვით დაკვეთის საერთო ღირებულება შეადგენს 3 000 დოლარის ექვივალენტ თანხას ლარებში [დაახლოებით - 7450 ლარს];

შენიშვნა*

5.1.1. თანხა, დაკორექტირდება საანგარიშო პერიოდის ბოლო თვეში.

5.1.2. თანხა შეიძლება შეიცვალოს ჩარიცხვის დღისთვის არსებული კურსის საფუძველზე;

5.2. წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად თითოეული გადაცემის ღირებულება შეადგენს: 300 დოლარის ექვივალენტ თანხას ლარებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, სამუშაოს შესრულების შემდეგ, მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, დადასტურებული დამკვეთის და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. „შემსრულებლის“ სახაზინო ანგარიშზე:**709427323** - სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური.

6. კონფიდენციალობა

6.1 შემსრულებელმა არ უნდა გადასცეს არცერთ იურიდიულ თუ კერძო პირს ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდება ცნობილი დამკვეთის შესახებ ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, თუ ამაზე არ იქნება დამკვეთის შესაბამისი წერილობითი თანხმობა.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული რედაქციის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. ხელშეკრულებისშეწყვეტა

8.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ მეორე მხარეს უნდა ეცნობოს არაუგვიანეს 20 დღით ადრე (წერილობითი ფორმით).

8.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსრულებელს აუნაზღაურდება მხოლოდ მის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9. მხარეთა ხელმოწერები

ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი	**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო**
ასლანჭანიძე	ნათია კაპანაძე
_____	_____
თავმჯდომარე	დირექტორი

ხარჯების დასახელება	ცვლილება (+ზრდა / -კლება)	
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები
ახალი ამბები	0,00	960,00
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	0,00	7 200,00
	0,00	0,00
ჯამი	0,00	8 160,00

დირექტორი ნათია კაპანაძე

ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსი რაულ ბერიძე

დანართი N3

განმარტებითი ბარათი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტთან დაკავშირებით

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის N370 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი ნაწილის გაზრდა რომელიც დაკავშირებულია,

(1) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსა" და ა(ა)იპ "საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი"-ს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან. პროექტი ითვალისწინებს მაუწყებლის ახალი ამბების მთავარ გამოშვებებში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით **"Empowering Regional Journalists for Fact-Based Reporting on Euro-Atlantic Integration"** პროექტის (საგრანტო ხელშეკრულების **№SGG80017GR0079**) ფარგლებში ყოველკვირეულად 4 ანალიტიკური სიუჟეტის მომზადებას გარემოს დაცვის თემაზე.

პროექტის ფარგლებში მაუწყებელი მიიღებს 960,00 (ცხრაასსამოცი) ლარს, რომელიც გათვალისწინებულია დასაქმებულთა ხელფასით უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

1.1.რეპორტიორი (4): 1 თვე 445,00 ლარი;
1.2.ოპერატორი (4): 1 თვე 445,00 ლარი;
1.3.პასუხისმგებელი პირი (1): 1 თვე 70,00 ლარი.

სულ: 960,00 ლარი - 83,95 %

პროექტის ფარგლებში მაუწყებელის მიერ გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 183,47 (ასოთხმოცდასამილარსდა47თეთრს) ლარს, კერძოდ:

1.4. საწვავის ხარჯი: 24,26 ლარი;
1.5.გადასახადი (დღგ): პროექტი გათავისუფლებულია დღგ-საგან;
1.6.არაპირდაპირი (ზედნადები) ხარჯები: 76,80 ლარი;
1.7.ამორტიზაცია (ცვეთა): 82,42 ლარი.

სულ: 183,47 ლარი - 16,05%

(2) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსა" და ა(ა)იპ "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს" შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან.
ხელშეკრულება ფორმდება „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო"-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი" და „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".

პროექტის ფარგლებში მაუწყებელი მიიღებს **3 000,00** აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს (≈7450 ლარი), რომელიც გათვალისწინებულია დასაქმებულთა ხელფასით უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

2.1. რეპორტიორი: 10 თვე -1 250,00 ლარი.
2.2. გრაფიკოს-მემონტაჟე: 10 თვე - 1 250,00 ლარი;
2.3. ოპერატორი: 10 თვე - 1 250 ,00 ლარი;
2.4. პასუხისმგებელი პირი: 10 თვე - 3 450 ,00 ლარი;

სულ: 7 200,00 ლარი - 79,86%

პროექტის ფარგლებში მაუწყებელის მიერ გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 1 815,64 (ათასრვასსთხუთმეტილარიდან64თეთრს) ლარს, კერძოდ:

2.5. საწვავის ხარჯი: 34,65 ლარი;

2.6. გადასახადი (დღგ): 1 098,31 ლარი;

2.7.არაპირდაპირი (ზედნადები) ხარჯები: 576,00 ლარი;

2.8.ამორტიზაცია (ცვეთა): 106,69 ლარი.

სულ: 1 815,64 ლარი - 20,14%

შესაბამისად, ორივე პროექტის ფარგლებში როგორც ანალიტიკური, ასვე შემოქმედებითი გადაცემების მომზადებაზე, დასაქმებულთა ხელფასით უზრუნველსაყოფად საჭიროა არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში გაიზარდოს:

1. **„ახალი ამბების“**-ს მუხლი **960,00** ლარით,
2. **„მედიაწარმოება და პროდიუსინგი“**-ს მუხლი **7 200,00** ლარით.